საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

---

# ბრძანება № 01-02/117

19 ივნისი, 2023 წ. ქ. ბათუმი

**ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ მირანგულა ლიპარტელიანის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიურის საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დებულების, ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 27 თებერვლის N#01-08/159 ბრძანების (2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ბსუ-ში სტუდენტთა გადმოყვანის წესით მირანგულა ლიპარტელიანის ჩარიცხვის შესახებ), საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (16.06.2023, ოქმი N27–20/8) და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (19.06.2023 №716560) საფუძველზე

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **მირანგულა ლიპარტელიანის** სადისერტაციო ნაშრომის: საჯარო დაცვა დაინიშნოს 2023 წლის 4 ივლისს, 13:00 საათზე, №328 აუდიტორიაში (ბსუ-ს II კორპუსი, მე-3 სართული, ბათუმი, ნინოშვილის №35/რუსთაველის N32).
2. დამტკიცდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი დარგობრივი სადისერტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

**ა) ნათელა ვარშანიძე** - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის თავმჯდომარე;
**ბ) ეთერი ჯაყელი** - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მტკიცებითი მედიცინის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის მდივანი;

**გ) დავით ბარათაშვილი** - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი;

**დ) გუგული დუმბაძე** - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

**ე) ქანა ჭითანავა** - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

**ვ) ინგა დიასამიძე** - ბიოლოგიის დოქტორი. ბსუ-ს ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

**ზ) რეზო გორაძე** - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ–ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების სამეცნიერო ინსტიტუტის კოლხეთის ტორფნარებისა და წყლის ეკოსისტემების კონსერვაციის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

**თ) ტარიელ წეროძე** - ბიოლოგიის დოქტორი, შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის" მენეჯერი;

**ი) პაატა ვადაჭკორია** - ბიოლოგიის დოქტორი, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო - მეთევზეობის, აკვაკულტურის და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

**კ) გია ბოლქვაძე** - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილება, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

**ლ) ნარგიზა ალასანია** - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროტექნოლოგიისა და აგროინჟინერიის დეპარტამენტი ასოცირებული პროფესორი

3. ბსუ-ს რექტორის ბრძანება და სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (საჯარო დაცვის თარიღის, დროის, ადგილის, დოქტორანტისა და სადისერტაციო თემის შესახებ).
4. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
5. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი ქ. დოლიძე) და მდივანს (ასოც. პროფესორი ნანა ზარნაძე).
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. 130).

**რექტორი, პროფესორი** **მერაბ ხალვაში**